

შპს „კალაქპროექტი“
“QALAQPROEQT” Ltd



14. 02. 2013 № 09

წარმოგიდგენთ ფონიჭალაში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს

სპეციალური ოპერაციების ცენტრის ტერიტორიაზე არსებული დახურული საცურაო აუზის შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო წინადადებას. გამარჯვების შემთხვევაში სრულყოფილ პროექტს წარმოგიდგენთ 30-ათ კალენდარულ დღეში.

რეკვიზიტები

შპს “კალაქპროექტი”

სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი

ს/კ 202461816 პ/ა GE04BG0000000607962400

ბ/კ BAGAGE22

მის: დავით აღმაშენებლის გამზ №89/24

ტელ: 295 32 00 (577 97 24 24)

დირექტორი

მ. მახათაძე

შპს „ქალაქპროექტი“

შპს „ქალაქპროექტი“ გაერთიანებულია ქალაქგეგმარების, საინჟინრო ნაგებობათა და არქიტექტურული განყოფილებები, სადაც თავს იყრის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პროფესიონალი ინჟინრებისა და მაღალკვალიფიციური არქიტექტორების ჯგუფი, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე (გასული საუკუნის 70-80-იანი წლებიდან მოყოლებული) მუშაობდნენ ჯერ 1933 წელს შექმნილ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ თბილქალაქპროექტში, ხოლო შემდეგ ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაარსებულ, ხსენებული ინსტიტუტის სამართალმემკვიდრე კომპანიებში (შპს „თბილქალაქპროექტი“ (13.01.2000–09.09.2004), შპს „ტერიტორიათა განვითარების სააგენტო თბილქალაქპროექტი“ (09.09.2004–07.09.2011)). შპს „ქალაქპროექტის“ დამფუძნებელიც ასევე ქ. თბილისის მთავრობაა და ის, მის ხელთ არსებული ორგანიზაციული მემსიერებითა და გამოცდილებით, შპს „ტერიტორიათა განვითარების სააგენტო თბილქალაქპროექტის“ ფაქტიურ სამართალმემკვიდრედაც შეიძლება ჩაითვალოს.

კომპანიის ძირითადი პროფილია:

- ქალაქის სივრცითი მოწყობის პრობლემების გადაწყვეტა, ყველა სახის ქალაქგეგმარებითი პროექტების დამუშავება;
- ქალაქების, საცხოვრებელი რაიონების, საზოგადოებრივ-სავაჭრო ცენტრების, ქალაქების ცალკეული ქალაქგეგმარებითი კვანძების, ქალაქის საგარეუბნო ზონისა და სხვა ტერიტორიათა დაგეგმარების პროექტების დამუშავება;
- ქალაქებისა და მისი ცალკეული ტერიტორიების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები (სატრანსპორტო მაგისტრალები და კვანძები, გზები, ხიდები, გვირაბები, საყრდენი ნაგებობები, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელები);
- ქალაქის საინჟინრო ინფრასტრუქტურის ყველა სახეობის პროექტების დამუშავება (წყალმომარაგება, კანალიზაცია, ელმომარაგება, კავშირგაბმულობა, გაზმომარაგება).

შპს „ქალაქპროექტი“ დასაქმებული სპეციალისტების მიერ დამუშავებულია ქ. თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების სამი გენერალური გეგმის პროექტი; ქალაქის უმეტესი მიწისქვეშა კომუნიკაციების ახალი თუ სარეაბილიტაციო პროექტები; ქ. თბილისსა და მის საგარეუბნო ზონაში თითქმის ყველა განაშენიანების პროექტი, საინჟინრო ინფრასტრუქტურის პროექტების გათვალისწინებით; აგრეთვე, ნატახტარის, ბულაჩაურის, ქსნის წყალსადენის პროექტები საინჟინრო ნაგებობებით; და სატრანსპორტო მაგისტრალები თბილისი-აეროპორტი, გლდანი დიღმის მაგისტრალი და სხვა.

ბოლო პერიოდში დასრულებული და მიმდინარე მსხვილი პროექტებიდან შეიძლება აღინიშნოს:

- გურიის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის ფარგლებში ბახმაროს, ოზურგეთის, ურეკისა და ლანჩხუთის ქუჩების, მოედნების, სკვერებისა და პარკების, ასევე ახალი შენობების მშენებლობისა და ძველი შენობების რეკონსტრუქციის, სანაპირო ზოლში ბულვარის მოწყობის პროექტი;
- ქ. თელავის ცენტრალური ქუჩების ინფრასტრუქტურისა და შენობების რეკონსტრუქციის პროგრამის ფარგლებში ქუჩებისა და მოედნების რეკონსტრუქციის, სანიაღვრე კანალიზაციის, ერეკლე მეორეს ძეგლის მიმდებარე სკვერისა და ბეტონის წყაროს მიმდებარე

ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

- ქ. ახალციხეში არსებული კულტურული მემკვიდრეობის (ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის) ძეგლების „ახალციხის ციხის“ და „რაბათის უბნის“ ტერიტორიაზე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;
- ურეკის სანაპირო ზოლის (ბულვარის) პროექტი;
- შაორის რეაბილიტაციის ფარგლებში, ტურისტული კომპლექსის პროექტი;
- ქ. ყვარელის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში კუდიგორისკენ მიმავალი გზის, გამგეობიდან მუზეუმამდე ჭავჭავაძის ქუჩის გზის პროექტი, სანიაღვრე კანალიზაციის პროექტი, გარე განათების პროექტი, გამგეობის ადმინისტრაციული შენობისა და ციხის გალავნის მიმდებარე ტერიტორიის სარწყავი სისტემის პროექტი;
- ქ. ბოლნისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პირველი ეტაპის პროგრამის ფარგლებში შეასრულოს ქ. ბოლნისის ქუჩების ვერტიკალური დაგეგმარებისა და კეთილმოწყობის, სანიაღვრე და სამეურნეო-ფეკალური კანალიზაციის, წყალსადენების, შადრევნის სატუმბი სადგურის, გაზსადენის და ელ. განათების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- ქ. თბილისის ევროპის მოედანზე, მეტეხის აღმართზე და ჯორბენაძის ქუჩაზე სანიაღვრე და წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
- კურორტ ბახმაროს რეაბილიტაცია;
- წყალტუბოს ცივი ტბის რეაბილიტაციის პროექტი;
- ლანჩხუთის სტადიონის რეკონსტრუქციის პროექტი;
- ინდივიდუალური და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტების შედგენა;

საპროექტო სამუშაოების განვასების ცხრილი

№	სამუშაოთა ჩამონათვალი იებულება	განზ.	მ2	ღირებულება	ჯამი
1	არქიტექტურული მუშა პროექტი	მ2		7000	
2	კონსტრუქციული პროექტი	მ2		5550	
3	გეოლოგიური კვლევა (აუცილებლობის შემთხ	მ2		—	
4	სანტექნიკური პროექტი	მ2		2100	
5	გათბობა-გაგრილების პროექტი	მ2		2100	
6	აუხის წყლის გათბობის და ფილტრაციის პრო	მ2		2000	
7	ვენტილაციის პროექტი პროექტი	მ2		2100	
8	ელ.ტექნიკური პროექტი	მ2		3000	
9	სუსტი დენების პროექტი: ა) სახანძრო სიგნალიზაცია ბ) სადამკვირვებლო კამერები გ) სატელეფონო ქსელი დ) სატელევიზიო ქსელი ე) კომპიუტერული და ინტერნეტ ქსელი	მ2		1874,86	
10	მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი	მ2		300	
11	მშენებლობის საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვ	მ2		2393000	
	პირდაპირი დანახარჯი			26074,86	
	საშემოსავლო		20%	6517,65	
	ჯამი			32589,83	
	ზედნადები ხარჯი		5%	1629,50	
	ჯამი			34219,33	
	გეგმიური დაგროვება		8%	2737,55	
	ჯამი			36956,88	
	დ.დ.გ.		18%	6652,24	
	ჯამი			43609,11	